პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა 29 აგვისტო 1937 წ. № 198 (4999)

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ჯგუფ წარმავალნი გაისრისნენ. ხალხმა გამოუტანა ღირსეული განაჩენი. კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე, გავძლიერდეთ გვეჭიროს ლენინ-სტალინის საბრძოლო დროშა!

გიგლიოთეკა

ხალხის განაჩენი

ცოფიან ძაღლებს დაუყოვნებლივ სჯიან — ასეთია ცხოვრების საერთო წესი. ისინი არ უნდა სწამლავდნენ ჰაერს თავისი მჯრალი სუნთქვით, შხამიანი ნერწყვი საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის. რაც შეიძლება ჩქარა მოვიშოროთ ეს გაცოფებული ძაღლები, სიკვდილი ხალხის მტრებს, სიღნაღელ კონტრრევოლუციონერ მავნებელ - დივერსანტებს — წითლიძეს, ალავერდაშვილს და სხვებს, რომლებიც მშრომელი ხალხის ხოცვა-ჟლეტას და აწიოკებას ამზადებდნენ. მშრომელთა ეს ხმა საქართველოს ყოველი კუთხიდან მოისმოდა, ამას ისინი ამბობდნენ მრავალრიცხოვან კრებებზე, ამას ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ რეზოლუციებში.

ხალხის სურვილი დაკმაყოფილებულია.

ელვის სისწრაფით მოედო ჩვენს ქვეყანას ცნობა მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთათვის გამოტანილი განაჩენის შესახებ. კვლავ გაჩაღდა მშრომელთა მრისხანე მიტინგები. ხალხის გულში აღენთო საბართლიანი განაჩენით გამოწვეული უღრმესი კმაყოფილების გრძნობა.

„მიღიონობით მშრომელებთან ერთად, — აცხადებენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშები, — ჩვენ მოვითხოვდით, რომ გაესრისათ ფაშისტური ქვეწარმავალნი, რომ უზენაესი სასამართლოს განაჩენი მკაცრი და დაუნდობელი ყოფილიყო, სასამართლომ შეასრულა ჩვენი ნება-სურვილი, მშრომელთა ნება-სურვილი. ხალხის მტრებს, სამშობლოს მოღალატეებს — წითლიძეს, ალავერდაშვილსა და მთელ მათ საზიზღარ ხროვას დახვრეტა მიესაჯათ, სამართლიანი განაჩენია, ორავითარი შებრალება ხალხის მტრებს! უღრმეს მადლობას ვუძღვნით სოციალისტური ქვეყნის ფხიზელ თვალს — საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელმაც მშრომელთა სისხლით მოვაჭრენი გამომამჟღავნა“.

ძაღლებს — ძაღლური სიკვდილი, — აი რას ამბობენ საქართველოს მშრომელნი სიკვდილით მოვაჭრებაზე. ხალხს ჩინებულად ესმის, რომ გამცემლებთან, მოღალატეებთან, ტერორისტებთან და ჯაშუშებთან მხოლოდ ტყვიის ენით შეიძლება ლაპარაკი: და ამას კარგად ჩაუფიქრდეს ყველა ის, ვისაც კიდევ დარჩენია „იმედი“ შეარყიოს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება. ტერორისტებსა და ჯაშუშებს ელის მხოლოდ ტყვია, მტერი გასრესილი იქნება ისევე დაუნდობლად, როგორც მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ბანდა.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი კლასობრივი მტრის წამსხვრევითა ბრძოლის თვალსაჩინო გაკვეთილი იყო. საბრლადებო სკამზე იჯდა ცბიერი და საშიში მტერი, რომელიც სცდილობდა გამოეყენებინა ყოველი ხვრელი თავისი ბოროტი გეგმების განსახორციელებლად, საბრალდებო სკამზე ისხდნენ ისინი, რომელთაც სიღნაღის რაიონს ჟღიდესი ზიანი მიაყენეს. ალავერდაშვილმა ციცხლი წაუქიდა ფარეხს, დასწვა 300 სული ცხვარი, მეღორეობის ფერმების მოწყობის საბაბით გაანიავა 400.000 მან., ეს თანხა კოლმეურნეობებს გადაახდევინა.

— „ჩვენი დამანგრეველი მუშაობის შედეგად კოლმეურნეები ერთი სამად შემცირებულ მოსავალს ღებულობდნენო“. საზიზღარი ალავერდაშვილის ეს სიტყვები სიღნაღის მშრომელებთან ერთად მთელმა საქართველოს მშრომელებმა მოისმინეს. გარეწარმა არტემ წითლიძემ კოლმეურნეობებში კულაკები მოაყალათა. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ წევრთათვის ახლა უკვე ნათელია, ვინ შეაღწიეროვა ისინი და ვინ შეგზავნა კულაკები მათს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა „წითელი ანაგას“ წევრთათვის ცხადი გახდა, რომ მათს კოლმეურნეობაში ასი ათასი ვაზის ნერგი საზიზღარი წითლიძის მავნებლობით დაიღუპა. სიღნაღის წინამხარის კოლმეურნეებმა პროცესზე მოისმინეს გაბრწყინვალი წითლიძის სიტყვები, რომელიც უტიფრად აცხადებდა: მთავარი მავნებლობა შემოდგომის თესვის დროს ჩავატარეთ, რითაც დიდძალი მოსავალი დავაკელით კოლმეურნეობებსო. ნუკრიანის კოლმეურნეებმა ახლა შეიტყვეს, რომ ხალხის მტერი ყუფარამვილი მათს კოლმეურნეობას ანგრევდა, 45 ჰექტარი მიწა მოუხნავი დასტოვა და ამით კოლმეურნენი შიმშილის საფრთხის წინაშე დააყენა.

ხალხის საზიზღარმა მტრებმა, მემარჯვენე გარეწრებმა რა არ ჩაიდინეს იმისთვის, რომ მშრომელთა უკმაყოფილება გამოეწვიათ. ნუკრიანის კოლმეურნეობას წისქვილი დაუნგრიეს, ახალს აგიშენებთო — დაჰპირდნენ, მაგრამ დრო გადიოდა, კოლმეურნეები დაპირების შესრულებას მოელოდნენ, მავნებლები კი გესლიანად ხითხითებდნენ. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყუფარამვილი თვითონ თვეში 60 შრომადღეს იწერდა, მაშინ როდესაც სტახანოველი კოლმეურნის თვიური გამომუშავება 33 შრომადღეს არ აღემატებოდა.

— „მაშასადამე, მთელი თქვენი მავნებლური საქმიანობა მიმართული იყო იქითაც, რომ დაგეშალათ კოლმეურნეობები, გაბატონებულიყო კერძო მეურნეობა, აღდგენილიყო კაპიტალიზმი, არა? — სასამართლოს თავმჯდომარის ამ შეკითხვაზე ხალხის მტერმა ნ. ყაჯრიშვილმა ცინიკურად განაცხადა: „დიახ, ეს იყო ჩვენი მიზანი, მაგრამ ვერ განვახორციელეთ საბოლოოდ“. აი რისთვის იბრძოდნენ ისინი, აი რატომ ანიავებდნენ სახელმწიფო ქონებას, რატომ „ხმარობდნენ საწვავ მასალას ისე, როგორც ალაზნის წყალს“. პროლეტარულმა სასამართლომ სავსებით სამართლიანი პასუხი გასცა მათს საზიზღარ მოქმედებას. სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! — ხალხის გულიდან ამონახეთქი ეს სიტყვები ჩაიწერა განაჩენში, ეს განაჩენი—ხალხის განაჩენია.

— „ჩვენს შორის არ მოიპოვება არცერთი, ვინც მთელი სულით და გულით არ იწონებდეს უზენაესი სასამართლოს სამართლიანსა და სწორ განაჩენს. მიუვალ კედლად ამოვეფარებით და ფხიზლად დავიცავთ ჩვენს ხელმძღვანელთა ძვირფას სიცოცხლეს“ — განაცხადეს საამფყობო საამქროს მუშებმა. მათ ხმას მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის ხმა უერთდება. სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ვერაგი ტერორისტები, ბანდიტები, მკვლელები, ქვეწარმავალნი სასტიკად დაისაჯნენ. ისინი აღიგავებიან პირისაგან მიწისა. უფრო სუფთა გახდება ჰაერი. უფრო ადვილი შეიძლება სუნთქვა მას შემდეგ, რაც ეს სიბილწე გაისრისება. ახალი დაუშრეტელი ძალებით აღივსება მშრომელთა კუნთები. კიდევ უფრო მხიარულად ახმაურდებიან დაზგები, კიდევ უფრო სწრაფად ამოძრავდებიან მშრომელთა გამრჯე ხელები, ახალი სტახანოვური რეკორდებით აღინიშნება უახლოესი მომავალი. ჩვენი ქვეყანა წავა თავისი გზით ადამიანთა ბედნიერების ახალი მშვენიერებისაკენ.

არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ გამარჯვებული სოციალიზმის დამხობა და მის ნაგრეგებზე ძირგამომპალ კაპიტალიზმის აღდგენა. ყველა ის, ვინც შეეცდება ისტორიის პროგრესული მსვლელობა შეაჩეროს, პროლეტარული რკინის ქუდით გაისრისება.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ჯგუფის გასამართლების დროს გამომჟღავნებული ამბები ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს, რომ „ყოველთვის ყოველგვარ პირობებში უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ მტრის ყველა ბუდე რომელია აღმოჩენილი და მხოლოდ ბოლშევიკური სიფხიზლეს შეუძლია მათი გამოაშკარავება და გაცამტვერება.“

საფრანგეთის სოციალისტთა პასუხი კომპარტიის წინადადებაზე

პარიზი, 27 აგვისტო (ტელეგრაფით „იზვესტიის“ სპ. კორესპონდენტისაგან) (საქდესი). სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა პასუხი კომპარტიის 29 ივლისის წინადადებაზე ორივე პარტიის დაუყოვნებლივ გაერთიანების შესახებ. კომპარტიის წინადადებანი, რომლებიც მოწონებულია სოციალისტთა მარსელის ყრილობის მიერ, მოითხოვენ დემოკრატიული პრინციპების დაცვას პარტიული აპარატის ყველა რგოლში, ნაციონალური და საერთაშორისო ყრილობების სუფრენიტეტს, პარტიის დამოუკიდებლობას მთავრობისაგან. შემდეგ კომპარტიის წინადადებებში აღნიშნული იყო, რომ არავითარმა უთანხმოებამ არ უნდა შეაჩეროს კომუნისტური და სოციალისტური პარტიების პოლიტიკური გაერთიანება. აქედან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ დაუყოვნებლივ მომზადდეს გაერთიანება როგორც ძირეული, ისე ცენტრალური პარტიული ორგანიზაციებისა საერთო ყრილობების გზით, მოხდეს პარტიულ რწმუნებულთა საერთო გამოსვლები, მიღწეულ იქნეს თანამშრომლობა პრესაში და პროპაგანდისტულ საქმიანობაში და, ბოლოს, არჩევნების საერთო ძალით მომზადება.

თავის პასუხში სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპარტიის წინადადებათა მიღება არ არის შესაძლებელი. მარსელის ყრილობა, ნათქვამია შემდეგ, ითვალისწინებდა გაერთიანების მომზადებას მხოლოდ ცენტრალური პარტიული ორგანოების მხრით. სოციალისტები მოითხოვენ ერთიანობის თანდათანობით მომზადებას მრავალი გაერთიანებული პარტიის წევრების შესამუშავებლად სპეციალური კომისიის შექმნის გზით. ამ წესდებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას შემდეგი: „დემოკრატიული პრინციპების დაცვა პარტიული აპარატის ყველა რგოლში და ნაციონალური და საერთაშორისო ყრილობების სუვერენიტეტი“. მას შემდეგ, რაც ეს საკითხები მეთანხმებული იქნება ცენტრალურ პარტიულ ორგანოებში, ისინი განხილულ უნდა იქნას ცალკე თვითეული პარტიის მიერ. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის აზრით, „ეს ერთადერთი მეთოდია, რომელიც ამ ჟამად უზრუნველჰყოფს ორივე პარტიისათვის მაქსიმალურ გარანტიებსა და პრაქტიკული შედეგების მიღწევას“. წერილს ხელს აწერს პოლ ფორი.

ინტერიმი.

ომი ჩინეთში

იაპონიის ჯარებმა დაიკავეს მანგუანი და პაზალინი

ტოკიო, 27 აგვისტო (საქდესი). გაზეთების ცნობებით ბეიპინ-სუიუანის რკინიგზის რაიონში 26 აგვისტოს იაპონიის ჯარებმა დაიკავეს მანგუანი და პატალინი, ნანკოუა უღელტეხილის მეორე მხარეზე.

ჩინეთის ბლოკადა და სახელმწიფოების პოზიცია

ვაშინგტონი, 26 აგვისტო (საქდესი). სახელმწიფოს მდივანს ხელს პრესის წარმომადგენლებმა მისცეს შეკითხვა—აქვს თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახვა გადასდგას რაიმე ნაბიჯი, დამოუკიდებლად ან სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რათა შეაჩეროს სომარი მოქმედებანი შანხაიში. ხელმწიფემ უპასუხა: მე არ ვიცი რისი გაკეთება ან განცხადება შეუძლია შეერთებულ შტატებს, გარდა იმისა, რაც უკვე გაკეთებული და განცხადებულია. როგორც ხელმწიფემ აღნიშნა, მას არ მიუღია ოფიციალური ცნობები, რომ იაპონიას განზრახვა აქვს მოახდინოს ჩინეთის ნაპირების ბლოკადა და პასუხი არ გასცა კითხვაზე —კანონიერია თუ არა ბლოკადა მხოლოდ ომის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ. შემდეგ ხელმწიფემ განაცხადა, რომ ინგლისის ელჩის დაბრუნება ჩინეთში „დიდად სამწუხაროა“.

ლონდონი, 26 აგვისტო (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტროს დღემდე არ მიუღია იაპონიისაგან ოფიციალური ცნობა ჩინეთის ნაპირების ბლოკადის დაწესების შესახებ. როგორც სააგენტო აღნიშნავს, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ბლოკადა შეიძლება დაწესებულ იქნეს მხოლოდ ომის გამოცხადების შემდეგ. ამ შემთხვევაში ომი ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, ამიტომ ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ინგლისის მთავრობამ იცნოს ეს ბლოკადა უფრო მეტად, ვიდრე ესპანეთის ნაპირების ბლოკადა, რასაც ხშირად აცხადებენ შეამბოხეები. ინგლისს, განაგრძობს სააგენტო, ეს არ ეხება. თუ იაპონიამ არ განაცხადა იმის პრეტენზია, რომ გაიჭრას და გაჩხრიკოს ხოლმე ინგლისის გემები. მაგრამ იაპონიას აქამდე არ განუცხადებია ინგლისის მთავრობისათვის თავისი განზრახვის შესახებ, რომ სწორედ ასე მოიქცევა.

იაპონიის ავიაცია ყუმბარებს უშენს ნანდაოს

შანხაი, 26 აგვისტო (საქდესი). გუშინ იაპონიის სამხედრო ატაშემ მაიორმა უცუნომიამ პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს განაცხადა, რომ „თუ ჩინეთის ჯარები არ შესწყვეტენ იაპონიის მოსახლეობისათვის თოფების დაშენას ხონკოუს რაიონში, იაპონიის ავიაცია დაიწყებს ნანდაოს ბომბარდირებას“ (ნანდაოს რაიონი—ქალაქის მჭიდროდ დასახლებული ჩინური ნაწილია). ამჟამად ნანდაოს რაიონი ავსებულია ლტოლვილებით, რომელთა რიცხვი ერთ მილიონს აღემატება. გუშინ იაპონიის ყუმბარმტყორცნებმა უკვე დაიწყეს ნანდაოს ბომბარდირება, რომლის დროსაც მოკლული იქნა რამდენიმე ასეული ჩინელი მშვიდობიანი მოსახლე.

საპროტესტო დემონსტრაცია ჩინეთში იაპონიის შეჭრის წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 27 აგვისტო (საქდესი). ანტიფაშისტთა ჯგუფმა იაპონიის საკონსულოსთან გამართა საპროტესტო დემონსტრაცია ჩინეთში იაპონიის შეჭრის წინააღმდეგ. დემონსტრანტები პოლიციამ გაფანტა. დაპატიმრებულია 2 დემონსტრანტი.

ჯონსტაუნში (ნიუ-იორკის შტ.), „ნიუ-იორკის შტატის შრომის ფედერაციის“ (ამ ფედერაციაში წარმოდგენილი არიან პროფკავშირები, რომლებიც ემხრობიან ამერიკის შრომის ფედერაციას) ყრილობაზე მიღებულია საპროტესტო რეზოლუცია იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ. რეზოლუციით მოუწოდებს იაპონური საქონლის ბოიკოტისაკენ.

ამხ. ა. ვ. გაკულინი
სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარი

ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა სოფელ კინტოს დაკავების შემდეგ, დაიწყეს მთელი რაიონის გაწმენდა შეამბოხეთა ჯარებისაგან, რესპუბლიკელებმა ტყვედ ჩაიგდეს 831 კაცი და ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, მრავალი ტყვიამფრქვევი, ვაზნა და დიდძალი სამხედრო საჭურველი.

კინტოდან ფუენტეს დე ებროში მიმავალი გზა განთავისუფლებულია მტრისაგან, ფუენტეს დე ებროს სექტორში სწარმოებდა გაფიორებული ბრძოლა, რომლის შედეგად რესპუბლიკელებმა დაიკავეს ახალი პოზიციები. მტერმა სერიოზული ზარალი ნახა.

სოფელ კინტოდან განდევნილმა შეამბოხეებმა დაიხიეს ძველ პოზიციებზე კინტოს სამხრეთით, სადაც მოჰყავთ 500 კაცისაგან შემდგარი რაზმი.

რესპუბლიკის ჯარებმა კოდოს დაკავების შემდეგ განაგრძეს შეტევა და გარსერტყმიან შეამბოხეებს ქალაქ ბელჩიტეში.

აღმოსავლეთის მთელ ფრონტზე რესპუბლიკელთა მხარეზე გადადის შეამბოხეთა მრავალი ჯარისკაცი. გადასულები ამბობენ, რომ ფაშისტთა ჯარებში ადგილი აქვს დემორალიზაციას.

ცენტრალური ფრონტი

ცენტრალური ფრონტის მთელ რიგ უბნებზე 26 აგვისტოს სწარმოებდა ინტენსიური საარტილერიო ბრძოლა. ამ ბრძოლაში თავი ისახელა ახალ გაზრდა სერჟანტმა მფრინავმა როდონდომ — მადრიდის ყოფილი მეურის შვილმა. უკვე მას უკან რაც მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით ძლიერ დაზიანდა მისი თვითმფრინავის მარცხენა ფრთა, როდონდომ ჩამოაგდო მოწინააღმდეგის თვითმფრინავი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ დაჭრილი იყო მარცხენა ფეხში. როდონდომ მოახერხა ავრეთვე მარჯვედ დაშვებული ყო. თავდაცვის მინისტრმა პრიეტომ მიულოცა გმირ მფრინავს მთელი ესპანელი ერის თანდასწრებით. როდონდოს იქვე ლეიტენანტობა მისცეს.

რესპუბლიკელებმა ტყვედ წაიყვანეს შეამბოხეთა რამდენიმე მფრინავი.

მუჩინავ როდონდოს გმირული საქციელი

პარიზი, 27 აგვისტო (საქდესი). ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ შეამბოხეთა ის 5 თვითმფრინავი შორის, რომლებიც 25 აგვისტოს სარაგოსის თავზე საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს, 4 „ფიატის“ ტიპისა არის, მე-5 კი „რომეოს“ ტიპისაა. რესპუბლიკელთა ავიაციას ამ ბრძოლაში ზარალი არ მოსვლია.

საბჭოთა კავშირში

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი). ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი სამიი, რომელიც მოსკოვში იმყოფება და ვენევაში მიემგზავრება, გუშინ სადარბაზოდ ეწვია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ამხ. ვ. პ. პოტიომკინს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვსა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. ს. კ. სუდინს.

დღის 2 საათზე ამხ. ვ. პ. პოტიომკინმა ბ-ნ სამიის პატივსაცემად გამართა საუზმე. საუზმეს დაესწრნენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ხ. კ. სუდინი, საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. დ. ვ. კანდელაკი, ირანის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი სეფაჭ ბოლი, მინისტრის თანმხლები ყველა პირი, ირანის საელჩოს მთელი შემადგენლობა, აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ დრეიფის ასი დღე

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი). 28 აგვისტოს სრულდება პოლარულ სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსის“ დრეიფის ასი დღე. ასი დღის განმავლობაში ჩვენი სამშობლოს მამაცი შვილები — საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი, ორდენოსანი პოლარელები რადისტი ე. ტ. კრენკელი, ჰიდროლოგი პ. პ. შირშოვი და ასტრონომ - მაგნიტოლოგი ე. ტ. ფედოროვი ეწევიან მეცნიერულ მუშაობას არქტიკული აუზის ცენტრში მოდრეიფე ყინულზე.

100 დღის განმავლობაში ყინულმა გაიარა ტეხილი ხაზით 550 კილომეტრამდე 5,5 კილომეტრი საშუალო სადღეღამისო სიჩქარით. პირდაპირი ხაზით ყინულმა გადაინაცვლა 400 კილომეტრი მანძილი 4 კილომეტრი სიჩქარით დღე-ღამეში. შემდეგში ასეთი მოძრაობისას ყინულმა შეიძლება მიაღწიოს შპიცბერგენის განედს, ე. ი. შეიძლება მოხვდეს გრენლანდიის ზღვაში ზამთრის დამლევს.

ახალი წიგნები

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოუშვა მხატვრულად გაფორმებული წიგნი „ი. ბ. სტალინი — სიტყვები რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე“.

წიგნში შევიდა: ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე და მოხსენება „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“.

წიგნში მთავსებულია ილუსტრაცია „ი. ბ. სტალინის მოხსენება რსდმპ (ბ) VI ყრილობაზე“ (მხატვარ რ. სვაროგის ცნობილი სურათიდან).

გამოცემის ტირაჟი 10.000 ეგზ.—ფასი 3 მან.

○

დაიბეჭდა და მასობრივი გამოცემით გამოვიდა ლ. ბერიას წიგნი „ლადო კეცხოველი“. წიგნში მოთხრობილია საქართველოს და ამიერკავკასიის რევოლუციის გარიჟრაჟზე შესაწიწნავი ბოლშევიკის, ამხანაგი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეული მომენტები. წიგნის ტირაჟი 110.000 ეგზ.—ფასი 15 კაპ.

ალექსი სტახანოვი მიღებულია სამრეწველო აკადემიაში

მოსკოვი, 27 აგვისტო (საქდესი). მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის სამრეწველო აკადემიაში დღის განყოფილების პირველ კურსზე მიღებულია 120 კაცი და მოსამზადებელ კურსზე — 33 კაცი. მიღებულთა შორის — 26 ორდენოსანია.

გამოცდა ჩააბარა და აკადემიის პირველ ყურსზე ჩაირიცხა სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი ამხ. ალექსი სტახანოვი. მიღებული არიან აგრეთვე ტრესტ „მაკეევუგოლის“ მუშაობის სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორი ორდენოსანი ამხ. დოლგოპოლოვი, საყელაური მანქანის მემანქანე ორდენოსანი ამხ. ტელნიხი, რომლებმაც გვიჩვენეს საყელაო მანქანაზე მუშაობის შესანიშნავი ნაყოფიერება.

აკადემიის საღამოს განყოფილებაზე უკვე მიღებულია 160 კაცი, ამასთან ამ განყოფილებაზე მსმენელთა ჩარიცხვა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმისა და დელეგატთა არჩევის წესის შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1937 წლის 27 აგვისტოს დადგენილება.

1. დაწესდეს სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა კავშირის 15.000 წევრზე—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

2. სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დელეგატთა არჩევნები ხდება ფარული კენჭისყრით პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ყრილობებზე.

3. იმ საწარმოებში, სადაც ირიცხება კავშირის 15.000 წევრი და მეტი, სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობის დელეგატები აირჩევიან უშუალოდ საწარმოებში.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაშთი კავშირის 7.500 წევრზე მეტია, ეს უფლებას იძლევა არჩეულ იქნას ყრილობაზე 1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

შენიშვნა: სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დელეგატთა ყრილობებზე არჩევისას, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ იმ საწარმოთა დელეგატები, რომლებსაც აქვთ სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობის დელეგატების უშუალოდ არჩევის უფლება (საწარმოები, რომლებშიაც ირიცხება კავშირის 15.000 და მეტი წევრი).

5. კავშირები, რომლებიც კავშირის 15.000 წევრზე ნაკლებს აერთიანებენ, არჩევენ 1 დელეგატს გადამწყვეტი ხმით.

6. სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობაზე დელეგატების არჩევა სათათბირო ხმით არ არის დაშვებული.

7. დელეგატების არჩევა ხდება 1937 წლის 1 ივლისისათვის კავშირის წევრთა არსებული ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი — ნ. შვერნიკი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ა. წ. 28 აგვისტოს განიხილა საკითხი სახარგო ავტომანქანების კაპიტალური რემონტის შესრულების წესის შესახებ და აღნიშნა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები და დაწესებულებები ავტომანქანების რემონტს აწარმოებენ არა სახელმწიფო ავტოსარემონტო ქარხანაში, არამედ კუსტარული წესით, რაც სავრცობლად აუარესებს რემონტის ხარისხს და იწვევს სახელმწიფო საშუალებათა დიდ გადახარჯვას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აუკრძალა ყველა ორგანიზაციას და დაწესებულებას რემონტის წარმოება ავტოსარემონტო ქარხნის გარეშე და ყველა ორგანიზაციას და დაწესებულების ხელმძღვანელებს დაავალა „გაზ“-ის და „ზის“-ის სახარგო ავტომანქანების კაპიტალური რემონტი აწარმოონ მხოლოდ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორს ამხ. სალაძეს წანადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ავტომანქანების რემონტის მაღალი ხარისხისა და ვადების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ საქ. შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. წერეთელს დაავალა სისტემატურად ადევნოს თვალყური და ამ დადგენილების დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ხოლმე საქართველოს სსრ პროკურატურას.

საბჭოთა ჩაის ფოთლის კრეფა

მიწასახკომის 25 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების სეზონის დასაწყისიდან კრეფილი ფოთლის რაოდენობა	აგვისტოში მოსავლიანობა კილოგრამობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	411.800	104.836	77,7	61,6
ქობულეთი	2.198.696	667.459	77,1	62,8
აჭარის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	197.226	48.776	85,7	86,2
სულ აჭარის ასსრ	2.807.722	821.071	77,7	63,7
გალი	950.884	200.760	82	74,4
ოჩემჩირე	449.950	110.548	69,2	47,5
სულ აფხაზეთის ასსრ	1.400.834	311.308	77,3	62
მახარაძე	3.682.810	1.050.752	77,5	64,7
ჩიხტაური	609.592	155.053	84,6	82,1
ლანჩხუთი	1.933.396	515.493	78,6	67,6
სამტრედია	99.191	17.136	82,6	59
წულუკიძე	178.920	46.980	89,4	78,7
ქუთაისი	41.853	10.396	104,6	103,9
ტყიბული	180.700	46.900	100,4	104,2
ცაგერია	502.093	120.407	85,1	87,7
გეგეჭკორი	683.840	165.140	86,5	90,7
ზუგდიდი	1.247.856	326.004	75,6	62,3
წალენჯიხა	508.872	103.135	82	71,6
ჩხოროწყუ	896.479	88.179	84,3	81,6
ხობი	138.861	35.079	81,6	75,8
სულ	14.412.459	3.813.033	79,3	67,6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

26 აგვისტოს საღამოს სხდომა

მოწმე ვ. ზახაროვის დაკითხვა

მავნებელი ვ. ზახაროვი 26 აგვისტოს გამოძახებული იყო პროცესზე, როგორც მოწმე. ზახაროვი სასამართლოს წინაშე არ იყო გულწრფელი. იგი მოუთხრობს სასამართლოს, რომ 1935 წელს წითლიძემ უთხრა ცხვარი თრიალეთში უნდა გარეკოო. წითლიძის ეს მავნებლური დავალება ზახაროვმა უყოყმანოდ შეასრულა და 7.000 სული ცხვარი გაგზავნა ლეკის მთაში, სადაც ცხვრებს გაუჩნდა ავადმყოფობა და 4000 სული ცხვარი და ორი ცხენი ტყუილუბრალოდ დაღუპა.

ამის შემდეგ მოწმე უამბობს სასამართლოს, რომ ის ერთ დღეს ბრალდებულმა შ. ალავერდაშვილმა წაიყვანა გუმბათის მეურნეობაში და გზაში უთხრა: გაპატივებთ 4000 ცხვარისა და ორი ცხენის დაღუპვას, თუ ჩვენს ორგანიზაციაში იმუშაებთო.

— მეც დავეთანხმე და დავიწყე მავნებლური მუშაობა, — ამბობს ზახაროვი. ის არ იძლევა სწორ პასუხს და თავისი მავნებლური მუშაობის ყველა შედეგს სტიქიურ მოვლენებს აბრალებს.

ვ. ზახაროვი დაკავშირებული იყო მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და მათი დავალებით ეწეოდა დივერსიულ მუშაობას.

მოწმე არჩილ ნაცვლიშვილის დაკითხვა

მემარჯვენეთა სიღნაღის ტერორისტული ორგანიზაციის პროცესზე მოწმედ გამოძახებულ, ხალხის უსაზიზღრესი მტრის გვარამაის დაკითხვის შემდეგ, ამ საქმეზე დაკითხულ იქნა მოწმე ა. ნაცვლიშვილი, რომელმაც სასამართლოს არაგულწრფელი ჩვენება მისცა. ის სცდილობს თავის მავნებლობის მნიშვნელოვანი ფაქტების მიჩქმალვას. ა. ნაცვლიშვილი არის სოციალ - ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი, ავანტურისტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ, მავნებლურ მუშაობას აწარმოებდა.

თავმჯდომარე: მოახსენეთ სასამართლოს, რაც მემარჯვენეთა სიღნაღის ტერორისტული ორგანიზაციის შესახებ იცით.

ნაცვლიშვილი: მავნებლურ - დივერსიულ მუშაობაში ჩამაბა შ. ალავერდაშვილმა. სიღნაღის რაიაღმასკომის კომბინატის ლიკვიდაციისა და მიცხოველეობის განაყოურების საქმეში, მათიკაშვილის თქმით, ჩაბმა წაიყვანა გუმბათის მეურნეობაში და გზაში უთხრა: გაპატივებთ 4000 ცხვარისა და ორი ცხენის დაღუპვას, თუ ჩვენს ორგანიზაციაში იმუშაებთო.

ტალახაძე: ამას შეგნებულად სჩადიოდით?

ნაცვლიშვილი: ასე გამოდის. განგებ არ მოვუარეთ და დავღუპეთ 700 სულამდე ცხვარი. მავნებლური მოსაზრებით მოვიტანეთ მანჭანა-იარაღებისათვის გამოუსადეგარი 146 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები. ყველაფერმა ამან, რასაკვირველია, დიდი ზიანი მიაყენა მეურნეობას.

ტალახაძე: თქვენ დაპატიმრებული იყავით, შემდეგ გადასაწყვეტილიც. როცა იქიდან ჩამოხვედით, მავნებლობას მოჰკიდეთ ხელი. როგორც ვხედავთ, ჭკუა ვერ გისწავლიათ.

ნაცვლიშვილი: (ღიმილით).

27 აგვისტოს დილის სხდომა

ბრალდებულ სტეფანოვის დამატებითი დაკითხვა

27 აგვისტოს დილის პროცესს დიდძალი ხალხი დაესწრო. ბაზრის მოედანზე და ქუჩებში რადიოპაპარატებთან დიდძალი ხალხი ისმენდა მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური დივერსიული - მავნებლური ორგანიზაციის პროცესს. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, რას იტყვით მტს-ში მავნებლურ მუშაობაზეო, ბრალდებული სტეფანოვი უპასუხებს: მტს-ის მუშაობას ხელოვნურად ვართულებდი, რომ კოლმეურნეთა მინდვრები დაუმუშავებელი დარჩენილიყო. ასეთივე მავნებლობას აწარმოებდა ის დათესილი მინდვრების მორწყვის საქმეში. ძალიან აჭიანურებდა არხებიდან წყლის გადმოშვებას, რის გამო იღუპებოდა ყანა. წნორის მტს-ის ყოფილმა დირექტორმა, ხალხის მტერმა სტეფანოვმა აღიარა ისიც, რომ კოლმეურნეობებში ჩაშალა შრომის ორგანიზაცია, ბრიგადები არ მიამაგრა გარკვეულ ნაკვეთზე.

თავმჯდომარე: სად ატარებდით ყველაზე მეტ მავნებლობას?

სტეფანოვი: იქ, სადაც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები სუსტნი იყვნენ. მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი კოლმეურნეობებისათვის მოანგარიშეთა მომზადებას, მაშინ, როდესაც კოლმეურნეობებს მოანგარიშეები აკლდათ და აღრიცხვის საქმე ჩაშლილი იყო. კოლმეურნეობებს ჩვენ ხელშეკრულებას არ ვუსრულებდით, შესაძლებლობა არა მაქვს-მეთქი, ვეუბნებოდი. ყველაფერი ეს გავლენას ახდენდა კოლმეურნეობათა მუშაობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

ბრალდებულ ალავერდაშვილის დამატებითი დაკითხვა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალავერდაშვილი ლაპარაკობს თავის მავნებლურ - დივერსიულ მუშაობაზე და მოუთხრობს სასამართლოს, თუ მიწგანის ყოფილი გამგე გოჩიტაშვილი როგორ ჩამოაშორა მემინდვრეობის საქმეს და დაავალა მხოლოდ მეცხოველეობის საკითხების „მოგვარება".

ბრალდებულთა დამატებითი დაკითხვის დამთავრების შემდეგ ვრცელი და ღრმად შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ი. ტალახაძე. ამხ. ტალახაძემ ვრცლად გააცნო დამსწრეებს მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური - ფაშისტური ორგანიზაციის მავნებლური მუშაობისა და გადაბირების მეთოდები. როცა ამხ. ტალახაძემ თავის სიტყვაში ახსენა საამური ცხოვრების შემქმნელის დიდი სტალინის და მისი თანამებრძოლების კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ბერიას და სხვათა სახელი, დარბაზში ასტყდა ტაში და გაისმა შეძახილები:

— გაუმარჯოს მშობლიურ სტალინს, გაუმარჯოს ეჟოვს, ვოროშილოვს! სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

დიდხანს გუგუნებდა ტაში და შეძახილები. დივერსანტთა მავნებლური მოქმედებით აღელვებულ ხალხში ხშირად გაიგონებდით:

—დახვრეტა ბრალდებულებს, სიკვდილი წითლიძეს, ალავერდაშვილს და მის დამჭაშებს!

და როცა სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. ტალახაძემ თავის სიტყვაში მოითხოვა თერთმეტივე ბრალდებულის დახვრეტა, ეს მოთხოვნა იყო ხალხის სურვილი.

— დახვრეტა ჩვენს მტრებს! — ტაშის გრიალთან ერთად გაისმოდა დარბაზში ხალხი. ეს წამოძახილები ისმოდა გარეთ რადიორუპორებთანაც.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. კოჭლამაზაშვილის სიტყვა

27 აგვისტოს დილის სხდომაზე ბრალდებულ სტეფანოვისა და ყუფარაშვილის განმეორებითი დაკითხვისა და სახელმწიფო ბრალმდებლის, რესპუბლიკის პროკურორ ამხ. ტალახაძის გამოსვლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი სოფ. ზემობოდბის კოლმეურნეობა „ნაპერწკალის" თავმჯდომარე ამხ. ა. კოჭლამაზაშვილი.

— საამური ცხოვრება, — ამბობს ამხ. კოჭლამაზაშვილი, — როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ისე სიღნაღის რაიონის გლეხობას საკოლმეურნეო შრომამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა, წინათ ჭიზიყელი გლეხი თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტს მოჯამაგირეობაში ატარებდა, განიცდიდა შიმშილსა და აუტანელ გაჭირვებას, ჩვენს ზურგზე კი კულაკები სუქდებოდნენ. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური, დივერსიულ - ტერორისტული მავნებლური ორგანიზაცია, რომელიც შინსახკომის ფხიზელმა თვალმა აღმოაჩინა, სცდილობდა მშრომელი გლეხობა ძველი, დუხჭირი ცხოვრებისაკენ დაებრუნებინა. სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამ ბრბოში, როგორც გამოძიებამ დაადასტურა, შედიოდნენ ბნელი წარსულის მჭიდნე ადამიანები, ტროცკისტები, რომლებიც სხვადასხვა დროს გარიცხული იყვნენ პარტიიდან, მეფის ყოფილი ოფიცრები, რომლებმაც დაჭკარგეს მუნდირები, და საერთოდ ყველა ისინი, ვინც უკმაყოფილო იყო საბჭოთა ხელისუფლებით.

მათი საქმიანობა ახლა ყველასათვის ნათელია. მავნებელთა და სისხლის სამართლის „ამბაშავეთა ეს ჯგუფი აწყობდა მეამბოხეთა შეიარაღებულ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც ომის შეძთხვევაში ზურგში ლახვარი უნდა ჩაეცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ ეწარმოებინა ინდივიდუალური ტერორი. ეს ბანდა ავიწროვებდა მშრომელებს, მავნებლობას ეწეოდა მეევნახეობაში, მეცხოველეობაში, ახერხებდა აგროტექნიკური ღონისძიებათა ჩაშლას მემინდვრეობაში და ამით ამცირებდა მოსავლიანობას, სთესდა უთვრაგის და დასარეველიანებულ თესლს, ავრცელებდა ეპიზოოტიას, ამტვრევდა ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა რთულ მანჭანა-იარაღებს და კოლმეურნეებს ერეკებოდა შიმშილისაკენ, გაჭირვებული ცხოვრებისაკენ.

საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ამხ. კოჭლამაზაშვილმა, დაახასიათა რა ამ მავნებელთა და დივერსანტთა ბროვის საქმიანობა, აღნიშნა, თუ როგორ ამზადებდნენ მისი წევრები ხელისუფლების დამგრევას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლას და კაპიტალიზმის აღდგენას.

— ბუნებრივია, — ამბობს ამხ. კოჭლამაზაშვილი, — რომ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ერთერთმა აქტიურმა მონაწილემ, კ. აბაშიძემ, ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მუშაობის დროს თავის გარშემო შემოიკრიბა ყოფილი კულაკები, მენშევიკები და სისხლის სამართლის დამნაშავეები, შეაიარაღა ისინი შაშხანებით და ჩამოაყალიბა მეამბოხეთა ჯგუფები, რომლებსაც უნდა ამოეწყვიტათ უდანაშაულო მშრომელი ხალხი და გზა გაეხსნათ უცხოელი ინტერვენტებისათვის.

დივერსანტები წითლიძე, ალავერდაშვილი, სტეფანოვი, შათირიშვილი და სხვები არავითარ ღონისძიებას არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ კოლმეურნეები შიმშილობამდე მიეყვანათ. ჩვენი საბჭოთა კანონმა წაიყვანა გუმბათის მეურნეობაში და გზაში უთხრა: გაპატივებთ 4000 ცხვარისა და ორი ცხენის დაღუპვას, თუ ჩვენს ორგანიზაციაში იმუშაებთო.

— მეც დავეთანხმე და დავიწყე მავნებლური მუშაობა, — ამბობს ზახაროვი. ის არ იძლევა სწორ პასუხს და თავისი მავნებლური მუშაობის ყველა შედეგს სტიქიურ მოვლენებს აბრალებს.

ვ. ზახაროვი დაკავშირებული იყო მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და მათი დავალებით ეწეოდა დივერსიულ მუშაობას.

ბრალდებულ ს. ზ. ყუფარაშვილის უკანასკნელი სიტყვა

ოც წელიწადს კომპარტიის რიგებში ვითვლებოდი. 1936 წლ. გაზაფხულამდე, ვიდრე კონტრრევოლუციის წუმპეში ჩავეფლებოდი, ყველაფერს ხალხის საკეთილდღეოდ ვაკეთებდი, ახლა კი ხალხის საშინელი მტერი გავხდი. კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს", რომლის განმტკიცებისათვის წინათ თავგამოდებით ვიბრძოდი, უკანასკნელად შეგნებულად და განზრახ ძირის გამოთხრა დავუწყე. მტრებმა, რომლებიც სიღნაღის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ, ისარგებლეს ჩემი სუსტი ნებისყოფით და გვერდში ამომიყენეს. მე არც ისე მოხუცი ვარ, რომ ვერ შევძლო ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება, თუ სასამართლო სიცოცხლეს შემინარჩუნებს.

ბრალდებულ ა. დ. წითლიძის უკანასკნელი სიტყვა

სავსებით სწორია პროკურორის მოთხოვნა ჩემი მკაცრად დასჯის შესახებ. მე სხვებზე მეტი პასუხი უნდა ვაგო. მე, რომელსაც მეშვიდა პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის პოსტი, მოვექეცი მტრის ბანაკში. ჩემს ორგანიზაციას მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაცია ეწოდებოდა. ფაქტიურად ჩვენსა და ტროცკისტულ ორგანიზაციას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. ჩვენ პარტიასთან არასოდეს ახლოს არ ვიყავით. მე ვხედავ, რომ როგორც მემარჯვენე გადახრა, ისე ტროცკიზმი გადაიქცა ჯაშუშთა, მკვლელთა და მავნებელთა ბანდად. გერმანე მგალობლიშვილს, რომელთანაც დაკავშირებული ვიყავი, არასოდეს არ უთქვამს, რომ ჩვენი ორგანიზაცია ტროცკისტული იყო. მგალობლიშვილის განცხადებით, მემარჯვენეთა საქართველოს ორგანიზაციას პირდაპირი კავშირი ჰქონდა მოსკოვის ცენტრთან — კერძოდ რიკოვთან და ბუხარინთან. ჩვენს დროშაზე ეწერა: საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაშლა, საბჭოთა კავშირის დამხობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია.

ექვსი წლის განმავლობაში მე ვიყავი ამ ორგანიზაციის წევრი და ვეწეოდი მავნებლობას. ვამზადებდით ნიადაგს შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. ჩვენი პოლიტიკა იყო ომის პოლიტიკა, წინააღმდეგი ვიყავით მშვიდობიანობის. ჩვენი ორგანიზაცია აბამდა კავშირს ფაშიზმთან, ყველა ბნელ ძალებთან. შეიძლება, ტერორი, მავნებლობა — აი რით უნდა დავხმარებოდით ფაშიზმს საბჭოთა კავშირის დამხობაში. საქართველო კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიად უნდა გადაქცეულიყო. განსაკუთრებით ახლა ყვილაფერი ეს ჩემთვის ნათელი და გარკვეულია.

1931-33 წლებში მე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო კომიტეტში. შეცდომა დავუშვი და ამიტომ სიღნაღში გადმომიყვანეს. ჩემი უკმაყოფილება პარტიასთან გამოიყენეს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა. მე არ ვიყავი გულახდილი პარტიის წინაშე. გულახდილი რომ ვყოფილიყავი, ეს არავითარ შემთხვევაში არ მომივიდოდა.

34 წლის კაცი ვარ. აქედან თექვსმეტი წელი პარტიაში გავატარე. არასოდეს საყვედური არ მომისმია. ჩემი უკანასკნელი თხოვნაა შემინარჩუნოთ სიცოცხლე, რა ფორმითაც არ უნდა იყოს, და პირობას გაძლევთ, რომ გამოვსწორდები.

სახელმწიფო დამცველთა სიტყვები

ამავე სხდომაზე სასამართლომ მოისმინა სახელმწიფო დამცველთა სიტყვები.

როგორც წინათ ვწერდით, ბრალდებულებს კ. ლ. აბაშიძესა და ს. ა. ჯავაშვილს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. თუთბერიძე, ბრალდებულებს შ. კ. ალავერდაშვილს და ვ. ს. მახოშვილს — ამხ. რობაჭიძე, ბრალდებულებს ი. გ. სტეფანოვს, მ. გ. შათირიშვილსა და ს. ზ. ყუფარაშვილს — ამხ. ჩაჩანიძე, ბრალდებულ ფ. ა. ყაჯრიშვილსა და გ. ე. მეტრეველს—ამხ. ღლონტი. ბრალდებულებმა ა. დ. წითლიძემ და ი. გ. კობეშავიძემ კი უარი განაცხადეს სახელმწიფო დაცვაზე.

დამცველთა კოლეგიის წევრები თავიანთ სიტყვებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ ბრალდებულთა მეტად მძიმე დანაშაულს და მხოლოდ ცალკეულ გარემოებათა მიხედვით მოითხოვდნენ სასამართლოსაგან ჰათოვის სასჯელის შემსუბუქებას.

27 აგვისტოს საღამოს სხდომა

ბრალდებულ შ. კ. ალავერდაშვილის უკანასკნელი სიტყვა

27 აგვისტოს საღამოს სხდომაზე სასამართლოს თავმჯდომარე ხაბოლოო სიტყვებს აძლევს ბრალდებულებს. პირველად ლაპარაკობს ბრალდებული შ. კ. ალავერდაშვილი.

— არაფერი დამრჩენია საბოლოო სიტყვაში სათქმელი, — ამბობს ალავერდაშვილი. — დანაშაული გულწრფელად აღვიარე, ბრალდება სწორია და ჩემი ქმედობა მეტად მძიმეა. პარტიამ და ხელისუფლებამ მე აღმზარდა, დამაწინაურა და ადამიანი გამომიყვანა, მაგრამ დაფასებას ვერ ვუწევდი. ამის გარშემო არაფერი განვაცხადე. წინათ ტროცკისტულ ორგანიზაციაში ჩემი ყოფნით, ჩემი ჩარჩმოცხებული წარსულით ისარგებლა შ. ალავერდაშვილმა და ჩამითრია მავნებლურ მუშაობაში. ჩიხიდან გამოსავალი იყო ის, რომ შინსახკომში მივსულიყავი და განმეცხადებინა. მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან არ მაკავშირებდა ჩემი იდეური მიდრეკილება. მე თავიდანვე ვგრძნობდი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, და მეტი გზა რომ ვერ ვნახე, თვითონვე, სრულიად მავნებლებმა მიაღწიეს იმას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჰექტარიდან ვერ მიიღეს 4-5 ცენტნერის მეტი მოსავალი, ხოლო შრომადღეებზე კოლმეურნეებს ერგოთ ერთ კილოგრამზე ნაკლები პროდუქტი და რამდენიმე კაპიკი ფულად.

მავნებელთა, დივერსანტთა, ტერორისტთა ეს ბრბო ამჟამად აღმოჩენილი და ლიკვიდირებულია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შენიღბული მოქმედებდნენ, მათი საქმიანობა მაინც გამოაშკარავეს შინსახკომის ორგანოებმა. სტალინურ კონსტიტუციაში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ სამშობლოს ღალატი ყველაზე მძიმე დანაშაულია და იგი არავის ეპატიება. სიღნაღის რაიონის მშრომელები საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ერთსულოვნად მოითხოვენ სამშობლოს ამ მოღალატეების — წითლიძის, ალავერდაშვილის, სტეფანოვის, აბაშიძის, შათირიშვილის და სხვათა სასტიკად დასჯას— დახვრეტას.

ჩვენ, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები და ყველა მშრომელნი კიდევ უფრო გავაძლიერებთ შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს და დიდი სტალინის ირგვლივ დარაზმულნი ვიბრძოლებთ ამ მავნებლების მიერ მიყენებული ზიანის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

საშემოდგომო თესვის ვადაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარება, მეცხოველეობის განვითარებისა და ნამატის გამოზრდის სახელმწიფო გეგმების შესრულება, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის უკეთესად მოწყობა, მოსავლისა და შემოსავლის სწორად განაწილება— ამ, რით უნდა ვუპასუხოთ ჩვენ სამშობლოს ამ მოღალატეთა მავნებლურ საქმიანობას.

როცა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა ამხ. კოჭლამაზაშვილმა დაამთავრა თავისი სიტყვა, ხალხით გაჭედილ დარბაზში და აგრეთვე გარეთ მოედანზე, სადაც რადიოთი ისმენდნენ პროცესის მიმდინარეობას, გაისმა შეძახილები: — სიკვდილი და ზიზღი სამშობლოს გამყიდველებს! სიკვდილი მავნებლებსა და დივერსანტებს!

ბრალდებულ ი. გ. სტეფანოვის უკანასკნელი სიტყვა

— სასამართლოს წინაშე და გამოძიების დროს მე ყველაფერი ვთქვი ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულზე. ის მიზნები, რაც ჩვენ გვქონდა დასახული, მთლიანად ვერ შევასრულეთ. 1921 წლიდან 1934 წლამდე, სანამ ამ კონტრრევოლუციურ ხლართში გავებმებოდი, ცუდად არ ვასრულებდი პარტიისა და მთავრობის დავალებებს. სასამართლოს ვთხოვ გაითვალისწინოს ის გარემოება, თუ რა პირობებში მოვხვდი მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ მავნებლურ - დივერსიულ ორგანიზაციაში. მათიკაშვილს კარგად ვიცნობდი. როცა წნორში გადმომგზავნეს, მოვხვდი მავნებლების მიერ დიდად დაზარალებულ რაიონში. მიწსახკომში ჭაობი იყო, რაიონში ჭაობი იყო და მეც ჩავეფალი ამ ჭაობში. და იმ კოლმეურნეობებს, რომელთა განსჯკიცებისათვის წიხათ ებრძოდი, ნგრევა დავუწყე. მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, მაქვს იმედი ენერგია, რომ ამ წუმპიდან გამოვიდე. ვთხოვ სასამართლოს გაითვალისწინოს ყოველივე ეს, შემინარჩუნოს სიცოცხლე და პირობას ვიძლევი იგი მთლიანად ხალხის კეთილდღეობას მოვახმარო.

ბრალდებულ გ. ე. მეტრეველის უკანასკნელი სიტყვა

სწორი დიაგნოზი დამისვა სახელმწიფო ბრალმდებელმა. წინათ ტროცკისტი ვიყავი და დავგმე იგი. უკანასკნელად მავნებლურ საქმეში ჩავები, ვუღალატე სამშობლოს, ვუღალატე ჩემს თავს, ვუღალატე ხალხის მტერი ვარ. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ - მავნებლურ ორგანიზაციაში მუშაობით მინდოდა ხელი შემეწყო საბჭოთა მთავრობის დამხობისათვის, კაპიტალიზმის აღდგენისათვის. ეს მეტად მძიმე დანაშაულია, მაგრამ მაინც ვთხოვ სასამართლოს შემინარჩუნოს სიცოცხლე და მას მთლიანად ხალხს მოვახმარ.

ბრალდებულ მ. გ. შათირიშვილის უკანასკნელი სიტყვა

დაპატიმრების მეორე დღესვე შინსახკომს გულწრფელად მოვახსენე ჩემი დანაშაული. კუხალეიშვილი მაიძულებდა ჩამედინა ბოროტმოქმედება და მავნებლობა. მე წინააღმდეგი ვიყავი ყვარელში უვარგისი ვაზი დამერგო, მაგრამ კუხალეიშვილმა იგი ძალით დამარგვევინა. ვთხოვ სასამართლოს მარჯვის სიცოცხლე, რომ იგი მთლიანად მოვახმარო ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას.

ბრალდებულ ა. გ. კობეშავიძის უკანასკნელი სიტყვა

დაცვითი სიტყვაზე უარი განვაცხადე. მე მესმის ჩემი დანაშაულის სიმძიმე. უკანასკნელ სიტყვაში მინდა დამიჯეროთ, რომ ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ნებაყოფლობით არ შევსულვარ. სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ყოფილი თავმჯდომარის ვერულაშვილის ანტისაბჭოთა ბაასს დროზე ალღო ვერ ავუღე. ამის გარშემო არასდ არაფერი განვაცხადე. წინათ ტროცკისტულ ორგანიზაციაში ჩემი ყოფნით, ჩემი ჩარჩმოცხებული წარსულით ისარგებლა შ. ალავერდაშვილმა და ჩამითრია მავნებლურ მუშაობაში. ჩიხიდან გამოსავალი იყო ის, რომ შინსახკომში მივსულიყავი და განმეცხადებინა. მაგრამ ეს ვერ მოვახერხე. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან არ მაკავშირებდა ჩემი იდეური მიდრეკილება. მე თავიდანვე ვგრძნობდი ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, და მეტი გზა რომ ვერ ვნახე, თვითონვე, სრულიად ძალდაუტანებლად, ვთქვი სასამართლოში მოკალათებულ მტრებზე გამოვამეყნავე ისინი.

გამოძიების დროს და სასამართლოშიც არაფერი დამიმალავს, ყველაფერი ვთქვი. ვიმეორებ, მე ვეწეოდი სასამართლოს დისკრედიტაციას, მონაწილეობას ვღებულობდი საქმეების გაჭიანურებაში და არასწორ განმარტებას ვაძლევდი გლეხებს საბჭოთა კანონებზე. მე მიმიძღვის მხოლოდ ეს დანაშაული და სხვა არაფერი. მემარჯვენეთა ორგანიზაციის ზამდელ კონტრრევოლუციურ შინაარსში მხოლოდ ახლა, სასამართლოს პროცესში გავერკვიე.

ახალგაზრდული სიცოცხლის წყურვილი მაიძულებს მოგმართოთ თქვენ, პატივცემულო მოსამართლენო, თხოვნით—შემინარჩუნოთ სიცოცხლე. 28 წლისა ვარ, მაქვს ცოდნა და ენერგია. პირველად ვარ მიცემული სამართალში. ჩემი გამოსწორება შეიძლება, თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ.

ბრალდებულ ვ. კ. მახოშვილის უკანასკნელი სიტყვა

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას რომ დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი, ეს სასამართლოს პროცესშიაც დადასტურდა. ჩვენ სასტიკი პასუხი უნდა ვაგოთ საბჭოთა კანონიერების და ხალხის წინაშე. მე ყველაფერი ვთქვი. მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობა 1937 წლიდან დავიწყე. ექვსი თვე ვიმუშავე. მყავს ექვსი სული სარჩენი. მე ვთხოვ სასამართლოს, თუ კი რაიმე საშუალება არსებობს, შემინარჩუნოს სიცოცხლე.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სსსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა გამსვლელმა სხდომამ

სსსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიხეილ ისაკაძის თავმჯდომარეობით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრების ეფ. თათუზოვის და ს. დათუნაშვილის შემადგენლობით, ნ. ავალიშვილის მდივნობით

სახელმწიფო ბრალმდებლის სსსრ პროკურორის ამხ. **ვ. ტალახაძის**, საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. **კოტლიარევსკის** და თბილისის დამცველთა კოლეგიის წევრების ამხ. **თუთბერიძის, როგავიძის, ლოლაშვილის** და **ჩაჩანიძის** მონაწილეობით, 1937 წლის 24—28 აგვისტოს ქალაქ სიღნაღში ღია სხდომაზე განიხილა საქმე ბრალდებისა ბამო:

1. შალვა კონსტანტინეს-ძე ალავერდაშვილის, დაბადებული 1902 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი 117 მუხლით, საშუალო განათლებით, დაპატიმრებამდე სიღნაღის რაიალ მასკომის თავმჯდომარე.

2. არტემ დიმიტრის-ძე წითლიძის, დაბადებული 1903 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1919 წლიდან, პასუხისგებაში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის ოაიკომის მდივანი.

3. კონსტანტინე ლევანის-ძე აბაშიძის, დაბადებული 1895 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, მეფის არმიის ყოფილი პორუჩიკი, უპარტიო, დაპატიმრებამდე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

4. იოსებ გაბრიელის-ძე სტეფანოვის, დაბადებული 1902 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, წარმოშობით ვაჭარი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, დაპატიმრებამდე წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი.

5. სიმონ ზაქარიას-ძე ყუფარაშვილის, დაბადებული 1887 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, დაპატიმრებამდე ნუკრიანის „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

6. მათე გიორგის-ძე შათირიშვილის, დაბადებული 1890 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, აგრონომი - მევენახე, უპარტიო, ყოფილი უნტერ-ოფიცერი, დაპატიმრებამდე ხირსის საბჭოთა მეურნეობის უფროსი სპეციალისტი აგრონომი.

7. გიორგი ესტატეს-ძე მეტრეველის, დაბადებული 1896 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1921 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი ხელისუფლების გადამეტებისათვის, წარსულში ტროცკისტი, დაპატიმრებამდე საქ. სოფელ საქობოში „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

8. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯავაშვილის, დაბადებული 1896 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი ხულიგნობისათვის, დაპატიმრებამდე სოფელ საქობოში „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

9. ალექსანდრე გიორგის-ძე კობეშავიძის, დაბადებული 1909 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი კანდიდატი 1931 წლიდან, გარიცხული იყო 1935 წლიდან პარტდოკუმენტების დაუდევრად შენახვისათვის, დაპატიმრებამდე სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ხელმძღვანელი, წარსულში ტროცკისტი.

10. ფირუზა ალექსანდრეს-ძე ყაჯრიშვილის, დაბადებული 1905 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1932 წლიდან, წარსულში ტროცკისტი, დაპატიმრებამდე ხირსის საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

11. ვასილ ალექსის-ძე მახოშვილის, დაბადებული 1894 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, დაპატიმრებამდე სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე.

დანაშაულზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებში.

წინასწარი და სასამართლოს ძიებით სასამართლო დადასტურებულად სთვლის, რომ ჯერ კიდევ 1931 წელს ბრალდებული შ. ალავერდაშვილი ჩაბმულ იქნა მავნებლურ ტერორისტულ - დივერსიულ მუშაობაში მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის სევა კუხალეიშვილის მიერ და ატარებდა მავნებლურ მუშაობას სიღნაღის რაიონის შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ალავერდაშვილმა ამავე ორგანიზაციაში ჩაიბა მეურნეობის სპეციალისტების ნაწილი. შემდეგში კი, 1936 წელს მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური მავნებლურ - დივერსიული ცენტრის წევრების გერმანე მგალობლიშვილის, შალვა მათიკაშვილის, სევა კუხალეიშვილის და პეტრე აღნიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით სიღნაღის რაიონში ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციური მავნებლური დივერსიულ - ტერორისტული ორგანიზაცია, რომელშიაც წევრებად შედიოდნენ ამ საქმეზე ბრალდებულები — სიღნაღის რაიალმასკომის ყოფილი თავმჯდომარე შალვა კონსტანტინეს-ძე ალავერდაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი არტემ დიმიტრის-ძე წითლიძე, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი კონსტანტინე ლევანის-ძე აბაშიძე, წნორის წყლის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ყოფილი დირექტორი იოსებ გაბრიელის-ძე სტეფანოვი, სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ყოფილი თავმჯდომარე სიმონ ზაქარიას-ძე ყუფარაშვილი, ხირსის მეევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი სპეციალისტი აგრონომი მათე გიორგის-ძე შათირიშვილი, საქობოს სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ესტატეს-ძე მეტრეველი, სოფელ საქობოს „7 ნოემბრის“ სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯავაშვილი, სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე გიორგის-ძე კობეშავიძე, ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფირუზა ალექსანდრეს-ძე ყაჯრიშვილი და სიღნაღის რაიონის ყოფილი სახალხო მოსამართლე ვასილ ალექსის-ძე მახოშვილი.

აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, იყვნენ რა სხვადასხვა პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებების პასუხსაგებ თანამდებობებზე, თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდნენ კონტრრევოლუციური საქმიანობის შესასრულებლად და მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური მავნებლური დივერსიული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებებით თავიანთ ძირითად ამოცანად ისახავდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენას იმ მავნებლურ-დივერსიული და ტერორისტული საქმიანობის გზით, რაც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და სამხედრო ძალიერების ძირგამოთხრისაკენ, ე. ი. სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის დაჩქარებისაკენ, უცხოელ აგრესორთათვის ხელისშეწყობისაკენ და სსრ კავშირის დამარცხებისაკენ. ამ მიზნის განსახორციელებლად მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია სიღნაღის რაიონში ატარებდა შემდეგ მავნებლურ-დივერსიულ ტერორისტულ საქმიანობას:

კოლმეურნეობების დაშლისა და კოლმეურნეებს შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნის საშუალებით განზრახ შეჩერდათ არევდარევა შრომის ორგანიზაციაში, განზრახ არღვევდნენ და ამახინჯებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, აბრკოლებდნენ კოლმეურნეობებში ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემის გატარებას, განგებ აჭიანურებდნენ კოლმეურნეთა შორის ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილებას, მიწებს 18-20 სანტიმეტრის ნაცვლად მავნებლურად ხნავდნენ 12 სანტიმეტრის სიღრმეზე, არღვევდნენ სადერეფტიო ორგანოების მიერ მოცემულ თესვის და მოსავლის აღების ვადებს. კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილში მავნებლობის მიზნით 1935-1936 და 1937 წელს არ ჩაატარეს მოსავლის გამარგვლა და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა, კოლმეურნეობაში შეჰყავდათ ყოფილი კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები, რათა შიგნიდან ეწარმოებინათ მავნებლური დამარღვეველი მუშაობა. ამ მიზნით კოლმეურნეობა „ლენინის გზით“-ში მათ შეიყვანეს 13 კულაკი.

მეევნახეობის განვითარების ჩაშლის მიზნით აფუჭებდნენ ამერიკულ ლერწს, შლიდნენ მყნობის სამუშაოებს. კოლმეურნეობა „წითელ ანაგას“, რომელსაც 8 მყნობელი ჰყავს, მისცეს დავალება დაემყნო 400.000 ცალი ლერწი, ვაჭრის კოლმეურნეობა „შეერთებას“ მისცეს დავალება გაეშენებინა ამერიკული ლერწის სადედეები, როცა მას ამის საშუალება არა აქვს. ამ ორ კოლმეურნეობას უნდა უზრუნველეყო მთელი რაიონის მოთხოვნილება ლერწზე. ეს მავნებლურად მიცემული დავალება მათ ვერ შეასრულეს, რის გამო ეს სამუშაოები ჩაშლა და კოლმეურნეობებმა საგრძნობი ზარალი ნახეს.

საორე ფერმებს აშენებდენ იმ კოლმეურნეობებში, სადაც საკვები ბაზა არ იყო. ასეთ კოლმეურნეობებში 9 საღორე ფერმა ააგეს. მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 400.000 მანეთი.

ცხვრის დაავადების და დახოცვის მიზნით, მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურმა მავნებლურმა ორგანიზაციამ საქართველოს მიწათსახკომის მავნებლების საშუალებით მიიღო და სიღნაღის რაიონში ჩაყვანა სამიცი სული დაავადებული მეგრული თხა, რომლებიც უნდოდათ გაენაწილებინათ რაიონის კოლმეურნეობებს შორის, მაგრამ მავნებლებმა ვერ გაბედეს ამ მავნებლური ღონისძიების გატარება, ვინაიდან მოელოდათ აშკარა სფრთხე, რომ კოლმეურნეთა წინაშე გამოაშკარავდებოდა მათი ბნელი საქმეები.

კონტრრევოლუციონერ მავნებლების მუშაობამ მეურნეობის სხვადასხვა დარგში სიღნაღის რაიონში გამოიწვია კოლმეურნეობათა შემოსავლის საგრძნობი შემცირება. ამ მავნებლურ ღონისძიებებს მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელების ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის და ი. სტეფანოვის დავალებით ატარებდნენ ამავე ორგანიზაციის წევრები, კოლმეურნეობათა ყოფილი თავმჯდომარეები, ბრალდებულები: ნიკოლოზ ჯავაშვილი, ფირუზა ყაჯრიშვილი და სიმონ ყუფარაშვილი.

საბჭოთა მეურნეობებში ატარებდნენ შემდეგ მავნებლობას: 1931 წელს შირაქის მარცვლეულ მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად ყოფნის დროს შ. ალავერდაშვილმა მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის კუხალეიშვილის და მემარჯვენეთა სიღნაღის ორგანიზაციის დავალებით ბრალდებულმა შათირიშვილის მეშვეობით ხელოვნურად შექმნა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ცხვრის ფარაში ჭირის ინფექცია, რის შედეგადაც მან დაღუპა 2 მილიონი 500 ათასი მანეთი. ა. წითლიძე და შ. ალავერდაშვილი მავნებლურად აჭიანურებდნენ მნიშვნელოვან სამუშაოებს. წნორი-წითელწყაროს გზატკეცილის და წნორის სასტუმროს მშენებლობა განზრახ გააჭიანურეს სამი წლით, ხოლო სიღნაღის ელექტრო-სადგურისათვის, ელექტროსინათლის შემცირების მიზნით, 148-ძალიანი ელექტროდიზელი შეიძინეს, დინამო კი 50—ვოლტიანია.

სიღნაღის რაიალმასკომის კომბინატის მეცხვარეობის ფერმისათვის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური რგანიზაციის დავალებით აშენებულ იქნა ცხვრის სამი სადგომი ბინა, რაზედაც, მუშაობის მავნებლურად გატარების შედეგად, 30.000 მანეთის ნაცვლად 300.000 მანეთი დახარჯეს.

ბრალდებულმა ს. შათირიშვილმა ჯერ კიდევ 1932 წელს, ყვარლის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად ყოფნის დროს, კონტრრევოლუციონერ კუხალეიშვილის დავალებით 208 ჰექტარზე დაავადებული ვაზის ნერგით გააშენა ვენახი, რომელიც, როგორც ავადმყოფი, გაფუჭდა და ვენახი ვარგისი დარჩა მხოლოდ 70 ჰექტარზე.

ხირსის საბჭოთა მეურნეობაში მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის კუხალეიშვილის და მემარჯვენეთა სიღნაღის ორგანიზაციის დავალებით ბრალდებულმა შათირიშვილის მეშვეობით ხელოვნურად შექმნა ბრუცელიოზის ინფექცია და ამის შედეგად



უკახასკნელ ხანებში თელავში გაჩაღებულია მუშაობა ქალაქის კეთილმოსაწყობად. შენდება ახალი საბლები, ქუჩები ასფალტით იმოსება და სხვ.
სურათზე: თელავის ცენტრალური მოედნის ასფალტირება.

„სოიუზფოტო"

სია

იმ პირთა, რომლებიც 1937—38 სამოსწავლო წელს ჩაირიცხნენ ს. ჯანაშიას სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტში პირველ კურსზე მისაღებ გამოცდებზე

უგამოცდოთ, რეკომენდაციით

აბულაძე ტატიანა დავითის-ასული, არსენიძე გენადი კონსტანტინეს-ძე, ბინიაშვილი სიმონ ისაკის-ძე, გოცირიძე სიმონ დავითის-ძე, გოგელაშვილი არდალი სერგოს-ძე, გომეზაშვილი ევტიხი ლუკას-ძე, გურგენიძე დომნა ონისიმეს-ასული, გოგნავა იონა ბაგრატის-ძე, კურცხალია ანდრო სილოვანის-ძე, ჯეირანძე გიორგი ტიხონის-ძე, ლეჟავა ჭერა ვლადიმერის-ასული, მოსიძე ეენია პავლეს-ასული, მეგრელაშვილი შალვა ილიას-ძე, მესხორაძე მიხეილი სილოვანის-ძე, მოსავლიძე კლიმენტი ალექსანდრეს-ძე, ოყუჯავა ვალერიანე სარდიონის-ძე, ობოლაძე გენედიტე ილარიონის-ძე, რეხვიაშვილი მიხინა კონსტანტინეს-ძე, სვანიძე გიორგი მიხეილის-ძე, ფუთურიძე გრიგოლ მელიტონის-ძე, ქველიძე კონსტანტინე მიხეილის-ძე, ცინცაძე ორიშა ოლიფანტეს-ძე, წითაძე ვერა ახგიას-ასული, ხინთიბიძე ტიტე მელიტონის-ძე, ჩალაძე კონსტანტინე სიმონის-ძე,

გამოცდების ჩაბარებით ფიზ. მათემატიკურ ფაკულტეტზე.

ამბროლაძე ნიკოლოზ ლეონტის-ძე, ასათიანი თინა დიმიტრის-ას., ბაბუნაშვილი დავით სილიბისტროს-ძე, ბურჭულაძე მიხეილ ეგვენის-ძე, ბერეკაშვილი ვარლამ კალისტრატეს-ძე, ბობოხიძე ნიკო ივანეს-ძე, ბანძელაძე იონა იროდიონ-ძე, ბრეგაძე ნიკოლოზ სანდროს-ძე, ბახტაძე შოთა სერგოს-ძე, ბეშკენაძე შოთა ერმილეს-ძე, ბეროძე იოსებ პორფილეს-ძე, გოგსაძე მეთევანი გერვასის-ას., გიორგაძე ნინო ირაკლის-ას., გავაშელი სულთან ალექსის-ძე, გუჯაბიძე კირილე ირაკლის-ძე, გოძილაძე ეზეკია ლუარსაბის-ძე, გეღეავა ვლადიმერ ხიკის-ძე, გოცირიძე ილია კონსტანტინეს-ძე, გაბუნია არკადი ისაიას-ძე, გელენიძე აკაკი ნესტორის-ძე, დუნდუა თამარი ილიკოს-ას., დათიაშვილი გულჩინი ეტიფანეს-ას., ზვიადაძე კონსტანტინე ერისტოს-ძე, თედორაძე მარიამი სპირიდონის-ას., კაქაჯაია ალექსანდრე იოსების-ძე, კავილაძე შოთა ივანეს-ძე, კოჟრიძე ვალერიან ბიქტორის-ძე, კილაძე შოთა აკაკის-ძე, კაკუბაშვილი დავით სტეფანეს-ძე, ლომთათიძე ვახტანგ სევასტის-ძე, ლოსაბერიძე ევსევი მიხეილის-ძე, მაჩიტაძე გაიოზ ირაკლის-ძე, მოშიაშვილი მოშია ილიას-ძე, მეძმარიაშვილი მერი ჯაბას-ას., მიქაძე ლიუდმილა სოლომონის-ას., მანდარია გრიგოლ ილიას-ძე, მანჯგალაძე აკაკი გიორგოლის-ძე, მორგოშია კოტე თემურაზის-ძე, ნიკოლეიშვილი მიხეილ იოსების-ძე, ნარჩემაშვილი თამარ არჩილის-ას., სვანიძე ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე, სამანიშვილი გენადი სიმონის-ძე, ტყეშელაშვილი აპალონი ლუკას-ძე, ფხაკაძე ალექსანდრე ზაქარი ს - ძე ფარჯანიძე მიქელენა მარკოზის-ძე, ფესვიანიძე ტატიანა ილარიონის-ას., ქავთარია გიორგი ვარლამის-ძე, ჭთამაძე ვენედიქტე ილიას-ძე, ღლონტი იაშა ბათლომეს-ძე, ყიფშიძე გიორგი პეტრეს - ძე, ყიფშიძე გიორგი ლავრენტის-ძე, ყურუღლოვი დავით კოსტას-ძე, შოთაძე ნიკოლოზი ნარიმანის-ძე, შენგელია ანასტასი ისიდორეს-ას., შეყრილაძე ალექსანდრე იაგორის-ძე, შალამბერიძე ქეთევან ტარასის-ას., ჩაფინაძე აკაკი ვლადიმერის-ძე, ჩაჩუა გიორგი გიორგის-ძე, ჩიხლაძე თამარ ვლადიმერის-ას., ჩილინგარაშვილი ლევანი პეტრეს-ძე, ცირკიძე დავით დავითის-ძე, ძიგრაშვილი ლეონიდე ვიაჩესლავის-ძე, ძოწენიძე მიხეილ პაოლინის-ძე, წერაძე პროკობი პავლეს-ძე, ჭანტარია ირაკლი შუტუდის-ძე, ჭიპაშაძე ვასილ გიორგის-ძე, ხურციძე მიქაგო ლუარსაბის-ძე, ხმალაძე თამარი დავითის-ას., ხახიაძე ვლადიმერ ალმასის-ძე, ჯანგიძე ბორის საბას-ძე.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე

აბრახაძე ეთერი დავითის-ას., ასათიანი ვლადიმერის-ას., არაკაძანიძე პავლე ალექსანდრეს-ძე, ბასილაშვილი რუბენ ანდრის-ძე, ბიბილაშვილი ვალენტინა სერგოს-ას., ბაკურაძე შოთა მიხეილის-ძე, ბრეგაძე ნაუმი (არჩილი) სერგოს-ძე, ბურკაძე ანა რაჟდენის-ას., ბურჯანაძე აბესალომ იასონის-ძე, გოდუაძე შალვა მიხეილის-ძე, გოგინავა პართენ ლუკას-ძე, გოგლაძე ნიკიფორე ეგნატეს-ძე, დანელია ტატიანა სტეფანეს-ას., დოლენჯი ვასილ მეთოდეს-ძე, ვეკუა ივანე სოლომონის-ძე, თვალავაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე, თორთლაძე თინათინ ერმილეს-ას., თოლორაია კალისტრატე დიანოსის-ძე, თვალაბიერშვილი რომანი რაჟდენის-ძე, იობიძე შარგალიტა სოგრატის-ას., კახიანი ეთერი ვლადიმერის-ას., კორძაძე ვალერიანე გრიგოლის-ძე, კაჭაია ნინო ილიას ას., კეციარიძე დავით ვასილის-ძე, კუპრაშვილი ნოე ნესტორის-ძე, კერესელიძე გრიგოლი ბესარიონის-ძე, კიკვაძე გიორგი ალექსანდრეს-ძე, კილაძე თამარ ნესტორის-ას., ლაშხი ბაბილინა ლევანის-ას., ლომაძე შოთა ვასილის-ძე, მორჩაძე ვენერა იაკობის-ას, მჭედლიძე გრიგოლ სილოვანის-ძე, მაჭავარიანი ოთარი ვასილის-ძე, მიქიაშვილი ქეთევან ვასილის ასული, მაჩიტაძე გული არტემის-ძე, მერკვილაძე შალვა ივანეს-ძე, ნურსეზაშვილი მარიამ (მარო) ილიას-ასული, ჟორდანია ქეთევან ალექსანდრეს ასული, ჟორჟოლიანი ლევანი ლავრენტის-ძე, სიხარულიძე გიორგი ბიქტორის-ძე, სიმონიშვილი გრიგოლ იასონის-ძე, სირორდია გრიგოლ ილიას-ძე, ტყეშელაშვილი თინი ვლადიმერის ას., ტყებუჩავა ისაკი ძუკას-ძე, უგრენელიძე შორა ათანასეს ასული, ფოფხაძე მიხეილ ესტატეს-ძე, ქაშიბაძე ელენე ივანეს ასული, ქურციკიძე თამარ ელადიძირის ასული, ქათამაძე ვასილ ერმილეს-ძე, შაითიძე ირაკლი პორფილეს-ძე, შავგულიძე ელენა კოსტას ასული, ჩერგელაშვილი ეკენია მიხეილის ასული, შენგელაია ალექსახდრე ბახვას-ძე, შენგელია ვლადიმერ დავითის-ძე, ჩიტალაძე ერმილე კოსტანტინეს-ძე, ჩიკვაშვილი მიხეილ მეირისძე, როგინა თამარი კარაპეტის ასული, ჩირაძე ანნა პავლეს-ასული, წერეთელი ვერა სიმონის ასული, ჭოლაძე აქვსენტი სარდიონის-ძე, ხარბედია აკაკი ბიქტორის-ძე, ხოჯევანიშვილი მადლენა იაკობის-ას., ჯანჯღავა (ლიზა) ელისაბედი ესტატეს-ას., ჯალაღანია გრიშა (გრიგოლ) იაკობის-ძე, ჯიხვარაძე თეოფანე მიხეილის-ძე, ჯანელაძე ვერა ელისოს-ას., ჯაფარიძე გაბრიელ აპალონის-ძე, დალაქიშვილი თინა ისაკის-ას..

ლიტერატურულ ფაკულტეტზე

აბრამიძე ალექსანდრა იოსების-ას., ასათიანი რუსუდან პლატონის-ას., აშოთია ნინო პლატონის-ას., ადამია მიხეილ ვასილის-ძე, ახვლედიანი მილიცა იასონის-ას.. აბრამიძე გიორგი იოსების-ძე, ადეიშვილი შარგალიტა ლეონტის-ას., აშვეთია ნადეჟდა სიმონის-ას., აბზიანიძე ლეილა ზოსიმეს-ას., ანჯაფარიძე თინა მაკარის-ას., ბოჭორიშვილი ნადეჟდე (ნადია) ირაკლის-ას., ბარბაჩაძე ამბროსი მიხეილის-ძე, ბუხოშვილი იუსონა იოსების-ას., ბაბუხადია შარგალიტა ბაგრატის-ას., ბიბინაძე არსენ აბესალომის-ძე, ბეჭვაია ბარნაბა პიმენის-ძე, ბეხოშვილი ტარიელ დანიელის-ძე, ბერძენიშვილი ნატალია რაჟდენის-ას., გედენიძე მარიამი ისიდორეს-ას., გიორგიძე სერგო კალისტრატეს-ძე, გაბრიაძე ნიკოლოზ ლორტის-ძე, ბოგველავა დომენტი ნესტორის-ძე, გიორგობიანი ონისიმე ონისიმეს-ძე, გორგოძე ავალე რაჟდენის-ძე, გვეტაძე პიმენ ონისიმეს-ძე, გოგისვანიძე ქეთევან რუბენის-ას., გიორგობიანი ზაზი ალექსის ას., გუნდლაძე იასონ ბესარიონის-ძე, დარდიშვილი იულია ანტონის-ას., ელუაშვილი ბესარიონ სიმონის-ძე, ვარდალიძე ქეთევან პარმენის-ას., თოდუა მიხეილ თედოს-ძე, თავმერიძე ბათა ავალეს-ას., თავდიდიშვილი ლუსია რაფიელის-ას.. იმნაძე სუსანა აკაკის ას., ქახიძე ივანე ევგენთის-ძე, კიკნაძეშვილი ტატიანა სიმონის-ას., კუმსიაშვილი შალვა სარდიონის-ძე, კაპანაძე, გიორგი სიმონის-ძე, კობახიძე მაგრა მიხეილის-ას., კეთილაძე კოსტა ერმოლა-ძე, კვინიკაძე პეტრე გიორგის-ძე, კიკუშაძე არსენ დავითის-ძე, ლომთათიძე ანდრო ივანეს-ძე, ლომთათიძე ავრაფინა ლუკას-ას., ლაკუმბაია შურა ნიკოს-ას., მეგრელაძე ელენე ფილიპეს-ას., მაზარაძე გიორგი ილარიონის-ძე, მანჯგავიძე გიორგი პარმენის-ძე, მარშანია ზინა დარისპანის-ას., მუნიშვილი დომენტი სამსონის-ძე, მალულკელიძე ოთარი პანტელეიმონის-ძე, მეღვინეთუხუცესი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე, ნემსიწყვეტელი აქვსენტი პორფილეს-ძე, ნუბიერიძე მარიამი კონსტანტინეს-ას., ნებიერიძე ელენე ვლადიმერის ას., ნატრიაშვილი ნინო შალვას-ას., ნიჭობაძე ივანე ილიას-ძე, ნებიერიძე ოლღა ანდრიას-ას., ლაბაძე დავით ტარასის-ძე, პაპიაშვილი ისრაელ რუბენის-ძე, პრინცესტალი ლევან იოსების-ძე, ჟორჟოლიანი შოთა ერასტის-ძე, რუსიძე ილია ოქროპილის-ძე, რიტიაშვილი ტინი ბათნაის-ასული, რუხაძე ენუქი ანდროს-ძე, რუხაძე ვარლამ დავითის-ძე, რუხაძე თინათინ ფარსის ასული, სიმონიშვილი ივლიან ალექსანდრეს-ძე, სულაქველიძე თამარი ისაიას-ასული, სვანიძე ბიძინა თოშას-ძე, სეხნიაშვილი თამარი შოშს-ასული, სურგულაძე თინათინ გალაქტიონის ასული, სვანიძე ლოლა ვარლამის-ასული, სვინტრაძე დავით სიმონის-ძე, ტყეშელაშვილი ქეთევან ლავრენტის ასული, ტოროშელიძე გრიგოლ ეფრემის-ძე, ფურცელაძე ოთარი სერგოს-ძე, ფაბრიაძე ვალერიანე გრიგოლის-ძე, ფიჩხაძე ლეა იაკობის-ასული, ფიჩუაშვილი აკაკი კოსტანტინეს-ძე, ფოფხაძე სერგო მიხეილის-ძე, ქათამაძე ლილი ხიკოლოზის ასული, ქარქაშაძე ვარლამ ვერასიმეს-ძე, ღიბრაძე ივანე დავითის-ძე, ღიბრაძე ქსენია დარმანტის ასული, ყუბარეი შვილი მარიამ (მარო) ივანეს-ასული, შავდინძე თამარი ნაუმის-ასული, შავდინო ნინო მიხეილის-ასული, შენგელია შალვა ელიზბარის-ძე, ჩუბინიძე ზინა ბაროს-ასული, ჩაჩანიძე თამარი ვარლამის ასული, ჩიტორელიძე ოლღა ირაკლის-ასული, ჩიხლაძე ნინო გიორგის-ასული, ჩიხლაძე ვალერიანე დავითის-ძე, ჩიტორელიძე მარგალიტა ერმილეს-ასული, ცხვირაშვილი ერეშია ზებულის-ძე, ციცოშვილი მირიან კაკიბის-ძე, ცაგარეიშვილი ქეთევან ირაოდიონის-ასული, ცირციძე შალვა ვასილის-ძე, ცაგარეიშვილი ზინა ლუკას ასული, წურწუმია ბორისი ნიკოს-ძე, წერეთელი ნინო ელიზბარის-ასული, ჯანჯალიეიშვილი თინათინ ივანეს-ასული, ჭანტარია ნათელა ევგენის ასული, ჭუმბურიძე ვახტანგი ისონის-ძე, ხანანაშვილი რაისა იაკობის-ასული, ხეცურიანი თეოფანე ალექსის-ასული, ხელაძე შალვა ანდრიას-ძე, ხმალაძე ელეონორა ივანეს-ასული, ხმიადშვილი ქეთევან ილიას-ასული, ხაფავა მარგალიტა ონისიმეს-ასული, ჯაბაგაძე ანნა პლატონის ასული, ჯაფარიძე ქეთევან ალექსანდრეს ასული, ჯმარუხაძე ბიკენტი ილიას-ძე,

ისტორიულ ფაკულტეტზე.

არაბიძე ალექსანდრე კალისტატეს-ძე, ალავიძე ბიკენტი ლავრენტის-ძე, არჩაია კონსტანტინე არხიფოს-ძე, ბალანჩიაძე სერგო ხიკოლოზის-ძე, ბარბაჩაძე გრიგოლი კონსტანტინეს-ძე, ბარბაჩაძე იაკობ კოთოს-ძე, ბანძელაძე რაჟდენ ალექსანდრეს-ძე, ბენიძე ვარლამ სიმონ-ძე, ბურჯანაძე გაბრიელ გალაქტიონის-ძე, ბექაია რომანოზ ზაქარიას-ძე, გიორგობიანი ზლვა პეტრეს-ძე, გურეშიძე გალაქტიონ ალექსის-ძე, გოგოლაშვილი ბიძინა გიორგისძე, გავაშელი ირაკლი მიხეილის-ძე, გრიგოლაშვილი ილია ილიას-ძე, გოგსაძე ქეთევან ისიდორეს-ას., ვაჩნაძე ნინო ალექსის-ძე, ფარჯანიძე ნიკოლოზ ალექსის-ძე, ფურცხვანიძე თინა სერგოს-ას., ქაჩაკაშვილი არჩილ ვლადიმერის-ძე, ქარჩხაძე მიხეილ იოსების-ძე, ქათამაძე იოსებ ევგენის-ძე, ლოდხაძე ლევანი ტარასის-ძე, ლაჭავა რაჟდენ ვლადიმერის-ძე, ყუფარაძე აკაკი პორფილეს-ძე, შამათაძე დომენტი ალექსის-ძე, ყიფშიძე ვლადიმერ იოსების-ძე, შენგელია ალექსანდრე ალექსის-ძე, შარაშენიძე დარო ანტონის ას., კალანდაძე ელიზბარ შელიტონ-ძე, კოკაძე ანსტასია ნესტორის ას., ლორთქიფანიძე ათინი ნიკოლოზის ას., ლოლაძე ვლისაბედ ალექსანდრეს ასული, შამალაძე ნათელა ვასილის ას., მარგველაშვილი ელენე სილიბისტროს ას., მარგალიტაძე ვარლამ ვლადიმერის ძე, მჭედლიშვილი თინათინ ილიას ას., მარდალეიშვილი მიხეილ კონსტ. ძე, მეუაუროვა მარიამ ბორისის ას., მარდალეიშვილი ვასილ ივანეს ძე, მაჭავარიანი თამაზ სამსონის ძე, მჭედლიშვილი ანა გიორგის ასული, მარუფიდი ელენიკა აბრამის ასული, მექვაბიშვილი ნინო ოსების ას., ნიკოლაიშვილი თინი გურასიმეს ას., ნემსაძე თამარ ნიკოლოზის ას., ნიშნიანიძე დავით ანდრიას ძე, ნონიკაშვილი თამარ ნასყიდას ას., ნებიერიძე ბაგრატ იაკობის ძე, ხიცვლიშვილი ოფროფინი პოლიკარპ. ას., ნუცუბიძე ვახტანგ რაჟდენის ძე, ოდიშარია ბაბილინა ძიტროფან. ას., ჟორჟოლიანი თინათინ სერგოს ას., ჟორჟოლიანი ვენერა ივლიანეს ას., ჟორჟოლიანი ლევან სიმონის ძე, სკვირაველიძე შარგარიტა გიორგის ას., სალარიძე შარკოზ იოსებ ძე, სიმაშვილი ელენე ვასილის ას., სულაძე ელენე დავითის ას., სურმავა მამია მარკოზის ძე, სილოვანი ნინო ლეკვინის ას., ტრაპაიძე დანიელ კაპიტონის ძე, ურუშაძე ნათელა დავითის ასული, ფერაძე ნინო პლატონის ასული, ფიტიმაშვილი ეფშაქ ისრაფილის ძე, ფერაიშვილი ელეონორა გაბრიელის ას., ფირცხალავა ეკატერინე ვლადიმერის ას., ფხაკაძე ვლადიმერ იოსების ძე, ქავთარაძე თამარ ნიკოლოზის ას., ქილიფთაოი ზინაიდა გიორგის ასული, ქეზაძე თამარ მიხეილის ას., ქავთარაძე მარიამ ალექს. ას., ქიშმარია გიორგი ალექსანდრეს ძე, ქერქაძე ელენე იაგორის ასული, ღლონტი ეფრემ იასონის ასული, დოლობერიძე ქეთევან ნიკოლოზ.-ას., ყუშიტაშვილი ლუბა ალექსანდრეს ას., შავერდაშვილი ნინო მაქსიმეს ას., შარაშიძე დარი ბესარიონის ასული, შეხგელია ოლია ლუკას ასული, შალაყაძე ნადია ტრიფონის ასული, შოვხაძე ილია სამსონის ძე, შენგელაია იოსებ იოსების ძე, შენგელია თამარ სერაპიონის ას., ჩიტაური ბაბულია გიორგის ას., ჩხეიძე ქეთი აბესალომის ასული, ჩაბაგა ლიდა ალექსანდრეს ასული, ცაგარეიშვილი მარგარიტა იაკობის ასული, ცხვედიანი ნადეჟდა თომას ასული, ჭეიშვილი ვახტანგ დავითის-ძე, ჭელიძე თინა სამსონის ასული, ჭყონია ბერტა იპოლიტეს ასული, ხრხრიანი ასია გალუსტის ას., ხავთასი თინა ბიქტორის ასული, ხოფერია დარეჯან კირილეს ასული, ჯაბახია ელენე ლავრენტის ასული, ჯაფარიძე გიორგი ივანეს ძე.

ინსტიტუტის დირექტორი პროფ.
1715 ა. შრუშაძე.

მარგანეცის გამოკვლევა სეისმური მეთოდებით

თბილისიდან ჭიათურის რაიონში სამუშაო ადგილას გაემგზავრა მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის საქართველოს გეო-ფიზიკური ინსტიტუტის სეისმური ექსპედიცია დოც. გ. თვალთვაძის მეთაურობით.

ექსპედიცია გამოარკვევს კირქვის მარგანეცის ფენების მიწისქვეშა რელიეფს პერევისაში და ამ გზით გამოავლენს მარგანეცის საბადოების ჩაწოლის სიღრმესა და განვრცობას.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

29 აგვისტოს:

31 აგვისტოს, სახ. 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში პარტკომთა მდივნებისა და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგთათვის შესდგება ამხ. ხაზანის მოხსენება თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოთა და მათი აგენტების ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტ მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები. შესვლა შესაძლებელია მხოლოდ პარტიული ბარათებით.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაციები თემაზე:

1. სტალინური კონსტიტუცია და შუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება. რუსულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.
2. სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. გ. გოგუა. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

პროპაგანდისტის კაბინეტი — კონსულტაცია თბილისის რკინიგზის აგიტატორებისათვის თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოების და მათი აგენტების — ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტ მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები.

ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ზაქ. კოპლატაძე. რუსულზე — ამხ. არ. შურაჩაშვილი. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

○

სხქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0713063, გაცემული სამტრედიის პარტრაიკომის მიერ 1936 წ. 22 ივნისს შალვა მიხეილის-ძე ივანაიძის სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

სარედაქციო კოლეგია.

დღეს სახკინძარეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-40, 8-40, 10-40	ახალი ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე **ლაკარგული სამოთხე** რეჟისორი — დ. რონდელი
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	სცენარი გ. მდივნიშვილისა, ოპერატორი ბ. ბურავლოთვი საქართ. სახკინმრეწვის ნაწარმოები.
26 სახელობის სახამთ. 6-30, სახაფხ. 8-30	სახაფხ. შენ. ხმოვ. ფილმი **ნატალკა-პოლტავკა** სახამთრო შენ. **წმ იოკრგენის დღესასწაული**
დემკვრელი სახამთრო 6-30. სახაფხ. 8-30, 10-30	სახამთრო და სახაფხ. შენობ. აბ-ლი დიდი ხმოვ. ფილმი **შორეულ აღმოსავლეთში**
კომკავშრომელი სახამთრო 6-30 სახაფხულო 8-30	ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი **გავროში**
კომინტერნი 8-30, 10-30	ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი **ანტიკ პოლიციმეისტერი**
ახალი ამბები 6-30	ზაყურებლების საყვარელი ხმოვ. ჟურნ. № 34, 35

სარეწაო კავშირის პრეზიდიუმისა და არტ. წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან არტ. „ხუმრები" და არტ. „მაისი" გაერთიანდნენ საწარმოო არტელ „ლიმონათის" სახელწოდებით.

17331 გამგეობა.

სახ. სას.-სამ. ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1937/38 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით

აგვისტოს 31-ს, საღამოს 7 საათზე, ინ-ტის კუთხში შესდგება პედკერსონალის

საერთო კრება

დასწრება ყველა პედაგოგისათვის სავალდებულოა.

1709 სახ.-სამ. ინსტ. დირექტორი პროფ. ან. ბუაჩიძე.

სახ. სახ. ზოოვეტინსტიტუტი

აცხადებს, რომ სწავლა ინსტიტუტის ორივე ფაკულტეტზე იწყება 1 სექტემბერს.

31 აგვისტოს დილის 9 საათიდან ინსტიტუტის კანცელარიაში იწარმოებს სტუდენტთა (მათ შორის ახლად ჩარიცხულების და აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტების) რეგისტრაცია. სტუდენტი, რომელიც რეგისტრაციას არ გაივლის, ინსტიტუტიდან მექანიკურად გასულად ჩაითვლება. ამავე რიცხვის დღის 1 საათისათვის ყველა ჯგუფხელმძღვანელები უნდა გამოცხადდნენ დეკანატში.

17330 ინსტიტუტის დირექტორი თოლხაძე.

უმაღლესი ხარისხის ქართული ჩაი

ამ დღეებში ტრესტ „საქართველოს ჩაის" სპეციალურად გამოყოფილ საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო უმაღლესი ხარისხის ჩაის — „საქართველოს თაიგულისა" და „ექსტრას" მარკების დასამზადებლად დანიშნული ფოთლის კრეფა.

ამ ხარისხის ჩაის დაამზადებს „საქართველოს ჩაის" ექვსი ფაბრიკა: სალიბაურის, ჩაქვის, ნასაკირალის, ლაითურისა და ზუგდიდის ფაბრიკები. „საქართველოს თაიგულის" მარკის ჩაი დამზადდება 5 ათასი კილოგრამი, ხოლო „ექსტრა" — 10 ათასი კილოგრამი.

სექტემბრის შუა რიცხვებში ამ მარკის ჩაი გაიგზავნება ასაწონად. გასასყიდად იგი გამოვა საგანგებოდ ლამაზად შეხვეული. კერძოდ, „საქართველოს თაიგულისა" და „ექსტრას" მარკის ჩაი განზრახულია გაყიდოს „გლავჩაის" კოოპერაციაში 1938 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დამთავლიერებლებზე.

„საქართველოს თაიგულისა" და „ექსტრას" მარკის ჩაი განირჩევა საუკეთო გემოთი და სურნელებით (საქდესი).

ჭროლეიბუსები რუსთაველის პროსპექტზე

1Ე აგვისტოს დაიწყო ტრამვაის მინოსვლა ახალი ხაზით (ძველაძის ქუჩა) და ტრამვაის ხაზის აღება რუსთაველის პროსპექტზე, რაც დამთავრდა 24 აგვისტოს.

24 აგვისტოდან მიმდინარეობს რუსთაველის პროსპექტის ხელახალი მოასფალტება და ნიადაგის მომზადება სატროლეიბუსო ხაზის გასაყვანად.

რუსთაველის პროსპექტის მოასფალტება დამთავრდება 10 სექტემბრისათვის და ამავე დღიდან დაიწყება სატროლეიბუსო ხაზის გაყვანა.

ახალი სატროლეიბუსო ხაზი გაყვანილი იქნება შემდეგი მარშრუტით: კარლ მარქსის ხიდი— პუშკინის ქუჩა — ა.-კ. ფედერაციის მოედანი — რუსთაველის პროსპექტი— ლენინის ქუჩა — საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი და ჩელუსკინელების ხიდი, სადაც პლეხანოვის პროსპექტზე შეუერთდება არსებულ სატროლეიბუსო ხაზს.

ახალი სატროლეიბუსო ხაზის გაყვანა დამთავრდება 1 ნოემბრისათვის, ხოლო მისი საზეიმო გახსნა დანიშნულია ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის.

ახალ სატროლეიბუსო ხაზზე იქნის 17-მდე ტროლეიბუსი.

◇

მხარეული თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადა

ბანაკად მყოფი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილები აქტიურად ემზადებიან წითელარმიელთა მხატვრული თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადისთვის, რომელიც ეწყობა მიმდინარე წლის სექტემბერში.

ოლიმპიადა იქნება დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისთვის. ოლქის ნაწილების დათვალიერება, იგი გამოავლენს თვითმოქმედების საოლქო ოლიმპიადისთვის, რომელიც ეწყობა მიმდინარე წლის სექტემბერში.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

31 აგვისტოს:

სახ. 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში პარტკომთა მდივნებისა და პირველადი პარტორგანიზაციების პარტორგთათვის შესდგება ამხ. ხაზანის მოხსენება თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოთა და მათი აგენტების ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტ მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები. შესვლა შესაძლებელია მხოლოდ პარტიული ბარათებით.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაციები თემაზე:

1. სტალინური კონსტიტუცია და შუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება. რუსულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.
2. სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და მოვალეობანი ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. გ. გოგუა. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

პროპაგანდისტის კაბინეტი — კონსულტაცია თბილისის რკინიგზის აგიტატორებისათვის თემაზე: უცხოეთის სახელმწიფოების და მათი აგენტების — ტროცკისტ-ბუხარინელ ფაშისტ მზვერავების დივერსიულ-ჯაშუშური მუშაობის მეთოდები.

ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ზაქ. კოპლატაძე. რუსულზე — ამხ. არ. შურაჩაშვილი. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

○

სხქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0713063, გაცემული სამტრედიის პარტრაიკომის მიერ 1936 წ. 22 ივნისს შალვა მიხეილის-ძე ივანაიძის სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

სარედაქციო კოლეგია.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ციცუნია ველხვრის ჭალაშია!"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა. წ 15 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო პატარა ფელეტონი, სადაც მოთხრობილი იყო აღმაშფოთებელი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაუფლანგეს ქონება უდედმამოდ დარჩენილ პატარა ცოცა სიჭინავას— ჩხოროწყუს რაიონის ს. ღესიშინის არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსან მოწაფეს—„მუურვე" პეტრე სიჭინავამ და მისმა სიძემ უშანგი ბალათურიამ, მოსწყვიტეს იგი სწავლას და ძროხების მწყემსად მიუგდეს ს. ნოქალაქევის (ცხაკაიას რაიონი) კლდოვრებს ვიწმე ჩაბავეს.

ცხაკაიას რაიონის საბავშვო სახლის დირექტორი ამხ. ტ. ბურსულაია გვატყობინებს: ცოცა სიჭინავა წამოვიყვანეთ ჩახავსაგან და იმყოფება ჩვენთან საბავშვო სახლში.

რედაქციისაგან: რედაქცია ჩხოროწყუს რაიალმასკომისაგან მოელის ცნობას იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღო წამგლეჯ „მეურვე" პეტრე სიჭინავას და მისი „ღირსეული" სიძის უშანგი ბალათურიას მიმართ პატარა ცოცას ქონების ანანაზღაურებლად და მათ პასუხისგებაში მისაცემად.

„გათავხელებული ექიმი"

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი თელავის რაიონიდან გვწერდა: რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს ამავდმყოფოების მუშაობას.

საავადმყოფოს გამგე ექ. ნიკო ჯაბახიშვილი უხეშად ეპყრობა პაციენტებს. იგი ისე გაათავხედდა, რომ მუშა-ქალს გაუპატიურება მოუნდომა.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა თელავის რაიპროკურორს ამხ. გიგაურს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ექ. ნ. ჯაბახიშვილი მოხსნილია სამუშაოდან.

„უეარგისი ინსპრუქტორი"

რედაქციამ ამ სათაურით მიიღო წერილი, რომლის ავტორი აღნიშნავდა, რომ კასპის რაიალმასკომის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი ვალ. ანჯაფარიძე თამამდებობას ბოროტად იყენებს, ლობს და რაიონის სკოლების შემოშებისათვის თავს არ იწუხებსო.

საქ. განსახკომის ხელმძღვანელ კადრების ინსტრუქტორი ამხ. ვ. ჭოხუა, რომელსაც ეს წერილი გადმოსარკვევად და ზომების მისაღებად ჰქონდა გადაგზავნილი, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ვალ. ანჯაფარიძე მოხსნილია სამუშაოდან, როგორც თანამდებობისათვის შეუფერებელი.

მშრომელთა წერილები

გზები შეკეთებას მოითხოვს

ბაშურის რაიონის კოლმეურნეები წელს შაქრის ჭარხლის უხვ მოსავალს მოელიან. ეს მოითხოვს საკოლმეურნეო გზების სათანადოდ შეკეთებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის გადაზიდვა რკინიგზის სადგურამდე.

ქარელის კოლმეურნეობამ გაიყვანა ახალი საკოლმეურნეო გ